საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ქინძმარაულის I-ლი შესახვევი №1, 05/090-ზე მდებარე ნაკვეთზე არსებული შენობების დემონტაჟის, მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამუშაოებისა და მომიჯნავე შენობების მდგრადობის შესახებ.

ექსპერტის მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე სადემონტაჟო ნაგებობებს, მათ მომიჯნავე შენობებს, დემონტაჟისა და მშენებლობის პროცესში მათი მდგრადობის დასადგენად.

საპროექტო ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებულია არსებული ერთსართულიანი შენობების (საქვაბე და აფთიაქი) დემონტაჟი. მათ ადგილზე ასაშენებელი საპროექტო შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას. საპროექტო შენობის მზიდი კონსტრუქციული სისტემა ეწყობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასში.
საძირკვლების ტიპი: მონოლითური რკ/ბეტონის ლენტები.

საპროეტო ტერიტორიას (ობიექტს):
ჩრდილო-დასავლეთის, ჩრდილოეთის და ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: 01.19.35.005.079; 01.19.35.005.062; 01.19.35.005.015; 01.19.35.005.051; 01.19.35.005.038; 01.19.35.005.030; 01.19.35.005.058; 01.19.35.005.049; 01.19.35.005.017; 01.19.35.005.009; 01.19.35.005.035. (საცხოვრებელი სახლები, კორპუსები და ავტოფარეხები). მათი დაშორება სამშენებლო მოედნიდან შეადგენს მინიმუმ 50 მ-ს და მაქსიმუმ 210 მ-ს;
სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან: ესაზღვრება მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: ; 01.19.35.005.089; 01.19.35.005.082;(ეკლესია) 01.19.35.005.083; 01.19.35.005.046(თელასის სატრანსფორმატორო); 01.19.35.005.047(თელასის სატრანსფორმატორო). მათი დაშორება სამშენებლო მოედნიდან შეადგენს მინიმუმ 30 მ-ს და მაქსიმუმ 90 მ-ს.
აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან: ესაზღვრება ქინძმარაულის ქუჩა. ქუჩის მოპირდაპირედ მდგარ კორპუსებამდე მანძილები 28 მ (01.19.33.003.036) და 37 მ-ია (01.19.33.003.002).

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, ექსპერტი ადგენს, რომ ქ. თბილისში ქინძმარაულის I-ლი შესახვევი №1, 05/090 ნაკვეთზე მდებარე არსებული შენობების სადემონტაჟო და საპროექტო შენობების მშენებლობის სამუშაოები არ გამოიწვევს მომიჯნავე შენობების არსებული მდგრადობის გაუარესებას.

ექსპერტი: გ. დედალამაზიშვილი